სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის მოდულის აღწერები და არჩევითი კურსების ჩამონათვალი

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა მიმდინარეობს ოთხი აკადემიური სემესტრის მანძილზე. სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი მოიცავს სამ სავალდებულო მოდულს (I, II და III სემესტრებში). მოდული გულისხმობს მრავალკომპონენტიან, კომპლექსურ სამუშაოს და შედგება ორი აუცილებელი ნაწილისგან:

1. ტუტორიალებისგან, რომელიც მოდულის მთავარი და პრინციპული კომპონენტია.
   მოდულის ტუტორიალის ფარგლებში მაგისტრანტი გადის ჯგუფურ და ინდივიდუალურ მეცადინეობებს მოდულის ხელმძღვანელთან (ტუტორთან). ტუტორიალების ფარგლებში მაგისტრანტი ესწრება, როგორც სემინარის ტიპის, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატის შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება მაგისტრანტის კვლევითი ინტერესები, სასწავლო და კვლევითი გეგმა. ტუტორიალები თემატურია და თითოეული შეხვედრა ეთმობა კონკრეტული საკითხების დამუშავებას, ლიტერატურის ანალიზს და ახალი მასალის მიმოხილვას. ინდივიდუალური კონსულტაციებისას, კი ტუტორი დეტალურად განიხილავს მაგისტრანტის მიერ შესრულებულ და შესასრულებელ სამუშაოს;

2. არჩევით საგნისგან, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს სამივე ეტაპზე, ტუტორის და/ან ხელმძღვანელის ინსტრუქციით, მისთვის საინტერესო და მისი საკვლევი საკითხისთვის რელევანტური ცოდნა მიიღოს. არჩევითი საგნის არჩევისას სტუდენტი კონცენტრაციის მიხედვით არ არის შეზღუდული და შესაბამის ტუტორთან შეთანხმებით შეუძლია გაიაროს ნებისმიერი კურსი შეთავაზებული არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან, რაც კურიკულუმის ინტერდისციპლინარულ ბუნებას ეხმიანება და საშუალებას აძლევს მაგისტრანტს, იკვლიოს ინტერდისციპლინარული თემები სხვადასხვა დარგის მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება აირჩიოს კონცენტრაცია.

რელიგია და პოლიტიკა

ინტერდისციპლინური მოდულის „რელიგია და პოლიტიკა“ მთავარი მიზანია, სტუდენტი გაეცნოს რელიგიისა და პოლიტიკური თეორიის ურთიერთმიმართების ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროტესტანტულ, კათოლიკურ და მართლმადიდებლურ სამყაროებში რელიგიურობისა და პოლიტიკური დისკურსების ისტორიულ ურთიერთქმედებას. ამავე დროს სტუდენტი ისწავლის სახელმწიფოებრიობისა და სუვერენობის თეოლოგიურ საფუძვლებს ე. წ. პოლიტიკურ თეოლოგიებს. მოდული განსაზღვრავს როგორც პირველადი წყაროების კითხვას და ანალიზს, ისე შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობას.

კულტურის და რეგიონის კვლევები

მოდული გულისხმობს რეგიონული და კულტურული კვლევეის წარმოებას მაგისტრანტისათვის საინტერესო თემატური კონცენტრაციით. კვლევის ფარგლებში შეეძლებათ სოციალურ თეორიასა და კვლევის მეთოდებში მიღებული ცოდნის გამოყენება კონკრეტული კულტურის, ქვეყნის ან საზოგადოების ანალიზისათვის. ასეთი კვლევა გულისხმობს რეგიონის/კულტურის როგორ ისტორიული, ისე თანამედროვე პროცესების შესწავლას და ისეთი ფართო სპექტრის თეორიული პარადიგმების გამოყენებას, როგორიცაა ეთნიკურობა, ნაციონალიზმი, პოლიტიკური იდეოლოგია, მეხსიერების პოლიტიკა, იდენტობის ნარატივები, გენდერი, სექსუალობა ა.შ. მოდულის ფარგლებში შესაძლებლობა გექნებათ იმუშაოთ როგორც სოციალური, ისე ჰუმანიტარული მეცნიერებების პროფესორებთან, რომელთაც კავკასიის, ახლო ან შორეული აღმოსავლეთის რეგიონებში კვლევის გამოცდილება აქვთ.

საერთაშორისო უსაფრთხოება და ტერორიზმი

ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება მრავალი ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგის უმთავრესი საკითხია. ეს მოდული საშუალებას გაძლევთ, სიღრმისეულად შეისწავლოთ ტერორიზმის საკითხები, სწრაფად გაიგოთ ზოგიერთი პრობლემა, გააანალიზოთ საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი, ნატო) და დემოკრატიული რეჟიმების რეაგირება ამ საფრთხის მიმართ.

მოდული კონცენტრირებულია ტერორისტული დაჯგუფებების სტრატეგიის, ბრძოლის მეთოდების და იდეოლოგიის შესწავლაზე. განსაკუთრებული

ყურადღება დაეთმობა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ფორმის ტერორიზმთან და აღმოცენებულია ამ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ გარემოში.
მოდულის ფარგლებში შეიძენთ იმ ანალიტიკურ უნარებს, რომელთა საშუალებითაც სისტემურად შეაფასებთ ტერორიზმის ფენომენს, მის საერთაშორისო ნიშნებს და ამ პრობლემისადნი მზარდ ეროვნულ და საერთაშორისო პასუხს.

საერთაშორისო ეკონომიკა და პოლიტიკა

მოდული საშუალებას გაძლევთ პასუხი გასცეთ ისეთ კითხვებს, რომლების უკავშირდება საერთაშორისო თუ რეგიონულ ეკონომიკას და პოლიტიკას როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. მოდული მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ეკონომიკური კლიმატის ცვლილება, მსოფიო ფინანსური კრიზისი, იმიგრაცია, ისლამური საბანკო სისტემა, ევროკავშირის, თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეკონომიკური პოლიტიკა.
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახლო და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკების თავისებურებების შესწავლას, რომლებიც უკავშირდება ამ რეგიონების ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მოდულის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწორად განსაზღვროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები პოლიტიკისა და კონომიკის ურთიერთგავლენის ჭრილში.

მოდულის ფარგლებში არჩევითი კურსების ჩამონათვალი

აშშ-ს პოლიტიკური სისტემა
ახლო აღმოსავლეთის რელიგიები
შორეული აღმოსავლეთის რელიგიები
ევროკავშირი: პროცესები და ინსტიტუტები
პოლიტიკური იდეოლოგიები
მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი
საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები
რუსეთ საქართველოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ისტორია
სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია
სოციოლოგიური ანალიზი
ანალიტიკური წერის პრაქტიკუმი
არალიბერალური რეჟიმები
კავკასია და საქართველო

კონფლიქტები და საერთაშორისო ურთიერთობები
საგარეო პოლიტიკის აკადემიური სიმულაცია
საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოება
იდეების ისტორია
ქართული აზრის ისტორია

არჩევით კურსებზე დარეგისტრირების ინსტრუქცია

მაგისტრანტი შესაბამისი მოდულის ფარგლებში ირჩევს არჩევით სასწავლო კურსს. მას საორიენტაციოდ აქვს არჩევითი კურსების დაწყებიდან 2 კვირა, მისი ინტერესის შესაბამისად, დაესწროს არჩევითი კურსების ლექციებს და აირჩიოს ერთი მათგანი, რომელსაც გაივლის შესაბამისი მოდულის ფარგლებში. არჩეული კურსის შესახებ, შესაბამის ვადაში, მაგისტრანტი ატყობინებს სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორს და რეგისტრირდება არჩევით კურსზე.

გასათვალისწინებელია, რომ არჩევითი კურსის შეფასება არის მოდულის შეფასების სავალდებულო კომპონენტი და მისი წარუმატებლად გავლის შემთხვევაში, მოდული ავტომატურად ითვლება გაუვლელად.